შპს ტელერადიოკომპანია "ოდიში"-ს ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების თავისუფალ რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადება.

(მოწვევის ოფერტა)

ზუგდიდი 2018

წინამდებარე ოფერტით განსაზღვრულია ზუგდიდის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება "ოფერტის" თავისუფალ რესურსთან დაშვების მსურველ ყველა ავტორიზებულ პირზე (შემდგომში აქცეპტანტი).

ზუგდიდის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების "ოფერენტის" თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურება ხორციელდება შემდგომი პირობებით:

1.1 მომსახურება იწარმოება DVBT2 (EN302755) სტანდარტით და მონაცემთა შემჭიდროვების MPEG4 (H-264-ISO/IEC 14496) ტექნოლოგიით, ამასთან ქსელში DVB-T2 (COFDM:8k, 64-QAM, Coding rate:2/3, Guarding interval: 1/8) პარამეტრებით ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე უნდა იყოს 22.118 მგბტ/წმ. ხოლო SD არხის გავრცელების სიჩქარე არა ნაკლებ 2.15 მგბტ/წმ–ისა.

1.2 ოფერტის კუთვნილ ქსელთან სიგნალის მიწოდებისა და ამ უკანასკნელის მხრიდან მომსახურების გაწევის მისამართია: ქ. ზუგდიდი, გამსახურდიას გამზირი №19.

1.3 აქცეპტანტი ვალდებულია საკუთარი ხარჯითა და რისკით უზრუნველყოს ციფრული ტრაქტების მიყვანა წინამდებარე ოფერტის 1.2 პუნქტით გათვალისწინებულ მისამართამდე.

1.4 ოფერტის მიერ შეერთების განხორციელებისას გამოყენებული ინტერფეისის აყწერილობაა: ციფრული ინტერფეისი (HDMI) სტანდარტული გარჩევადობის ვიდეო სიგნალი, ფერების კოდირების PAL სისტემით და თანმდევი აუდიოსიგნალით.

2. "ოფერენტის" კუთვნილ ქსელთან დაშვების მომსახურების მიწოდების ტარიფები:

2.1 ზუგდიდის ზონაში ღია ეთერით 1მგბ/წმ-ით გავრცელებისთვის ხარჯზე ორიენტირებული გადასახადი შეადგენს თვეში 242(ორასორმოცდაორი)ლარს გადასახადების გარეშე, დანახარჯი 1 SD თვეში 520 (ხუთასოცი)ლარს გადასახადების გარეშე,დანახარ ჯი 1 HD თვეში 1934 (ერთიათასცხრაასოცდათოთხმეტი) ლარს,გადასახადების გარეშე.

3. "ოფერენტის" კუთვნილ ქსელთან ჩართვის განხორციელების პირობები და პროცედურები:

3.1 "აქცეპტანტი" ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია

ბ) ამონაწერი საწარმოო რეესტრიდან

გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი

დ) წინსწრებით გადაიხადოს პირველი თვის თანხა

4. ოფერტის მოქმედების ვადა:

4.1 წინამდებარე ოფერტა ძალაში შედის 2018 წლის 01 თებერვლიდან და მოქმედებს ერთი წლის მანძილზე - 2019 წლის 01 თებერვლამდე.

ტელერადიოკომპანია "ოდიში"-ს

გენერალური დირექტორი დავით გრიგოლია